ოქმი:**ო135. 13523331001**
თარიღი:**27/11/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-11

დ. მესტია 24.11. 2023წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, გ. ხვისტანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პაკელიანი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი. შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი,

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი, გ. დადვანი დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ლ. პირველი,შ. რატიანი, ზ. ხარძიანი, მ. პაკელიანი მ. კვანჭიანი, მ.გელოვანი, კ. გუჯეჯიანი. . გულედანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი;

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 19 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ".

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

2. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ".

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------19

წინააღმდეგი------
თავი შეიკავა-------
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135233312 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ".

მომხსენებელმა ისაუბრა 2024 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე, 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2.498.1ათასი ლარით (14,6%-ით). მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 21 563.4 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2 513.1ათ. ლარით. ანუ 13% - ით). 2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 19 498.4 ათას ლარს შეადგენს.

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით:

1). 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2024 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა.

2). გაზრდილია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

ისაუბრა პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებული დაფინანსებაზე.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა. -- აღნიშნეს, რომ ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა, მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა, თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით, იყო შენიშვნები, მითითებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შენიშვნებით და მითითებებით მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მერიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფი თანხების გადანაწილება: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანების შესაძენად (მრავალწლიანი შესყიდვა) მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 200 156 ლარი; საქართველოს მთავრობის 15.11..2023 წლის №2050 განკარგულებით, მესტიის მუნიციპალიტეტში იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის დამატებით გამოყოფილია 95 000 ლარი; ისაუბრა მუხლიდან მუხლში გადატანილ თანხებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანი --- წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება გამოწვეულია კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად კომისია ეთანხმება ბიუჯეტის ცვლილების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება № :23 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ".
მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის გეგმა-შესრულებაზე, გადასახდელი გეგმა --27 513,6 ათასი. ლარი, შესრულება -22 761,5 ათასი ლარი,

გეგმა შესრულდა 83%-ით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა-- კომისიამ განიხილა საკითხი და კომისიის მიერ შეფასდა დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------18

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- ვ. ფილფანმა.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ".
მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება № :g-135. 135233311 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი